

მანანა სეხნიაშვილი

ერთი ჩვეულებრივი გაკვეთილი

გთავაზობთ გეოგრაფიის ჩვეულებრივი გაკვეთილის გეგმას, რომლისთვისაც, გარდა სახელმძღვანელოსი და რვეულისა, არავითარი დამატებითი რესურსი არ არის საჭირო. გაკვეთილის დაგეგმვის ნიუანსებზე ყურადღებას აღარ გავამახვილებ - ისინი დაწვრილებით ვარის განხილული არაერთ თეორიულ მასალაში.

მე-9 კლასი

გაკვეთილის თემა: ჰავის ძირითადი ტიპები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გააანალიზებენ რუკებსა და ცხრილებს, გაეცნობიან ჰავის ძირითად ტიპებს, დაადგენენ მიზეზშედეგობრივ კავშირს ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებსა და ჰავის თავისებურებებს შორის, ამ მაჩვენებლების მიხედვით ერთმანეთს შეადარებენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს.

რესურსები: გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეები სარგებლობენ მხოლოდ ცხრილით, საქართველოს ფიზიკური და ადმინისტრაციული დაყოფისა და ჰავის ტიპების გავრცელების რუკებით, რომლებიც მე-9 კლასის საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოშია (ავტორები: მ. ბლიაძე, გ. ჭანტურია, დ. კერესელიძე, ზ. სეფერთელაძე) მოცემული, ისინი იცნობენ ჰავის ჩამოყალიბების ფაქტორებს და ჰავის ძირითად ელემენტებს.

გაკვეთილი გამოწვევით (წინა მასალის გამეორებით) იწყება.

აქტივობა № 1. გამოწვევა - კითხვა-პასუხი - 5 წთ.

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს ჰავის ჩამოყალიბების ძირითად ფაქტორებს და ჰავის ძირითად ელემენტებს:

1. რა არის ჰავა?
2. რომელია ძირითადი კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები?
3. რომელი ოროგრაფიული ერთეულები წარმოადგენს ძირითად და მეორეხარისხოვან კლიმატურ ბარიერებს?
4. რომელია ჰავის ძირითადი მახასიათებლები?
5. რა არის ჰავის ტიპი?

მომდევნო აქტივობა უკვე ახალ მასალაზე მუშაობაა.

აქტივობა № 2. გეოგრაფიულ საშუალებებზე (რუკებზე, ცხრილებზე) მუშაობა - 15 წთ
კლასი ჯგუფებად იყოფა. მასწავლებელი ჯგუფებს ბარათებს ურიგებს. თითოეულ მათგანზე წერია საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულის სახელი: იმერეთი, კახეთი, გურია, ქვემო ქართლი და ა. შ.

ჯგუფებმა უნდა გამოიყენონ სახელმძღვანელოში არსებული ცხრილი და რუკა „ჰავის ტიპები“, საქართველოს ფიზიკური, ადმინისტრაციული დაყოფისა და კლიმატური ბარიერების რუკები და თავიანთი მხარე დაახასიათონ შემდეგი გეგმის მიხედვით:

- ა) გეოგრაფიული მდებარეობა (საქართველოს ფიზიკური და ადმინისტრაციული რუკების ანალიზი; მოსწავლეებმა უნდა აღწერონ, რომელი ოროგრაფიული ერთეულებია ამ მხარეში, რათა განსაზღვრონ, რა გავლენას ახდენს თითოეული მათგანი ჰავის ტიპის ჩამოყალიბებაზე);
- ბ) ჰავის ტიპი (ჰავის ტიპების რუკის მეშვეობით განსაზღვრონ, ჰავის რომელი ტიპებია ამ მხარისთვის დამახასიათებელი);
- გ) იანვრისა და ივლისის საშუალო ამპლიტუდა (დაადგინონ ცხრილის მეშვეობით);
- დ) ნალექების წლიური რაოდენობა (დაადგინონ ცხრილის მეშვეობით);
- ე) ახსნან მხარეში არსებული ჰავის ტიპის ჩამოყალიბების მიზეზები;
- ვ) გააკეთონ ამინდის პროგნოზი ამ მხარეში ჰაერის მასების შემოჭრის შემთხვევაში (აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ერთდროულად ორივე მხრიდან და სამხრეთიდან).

აქტივობა № 3. პრეზენტაცია - 20 წთ

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევრებს. ერთმანეთს ადარებენ დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს ჰავის ტიპებს და გამოაქვთ დასკვნა, რომ ჰავის ტიპების ჩამოყალიბებაში მონაწილეობს როგორც ძირითადი კლიმატწარმომქმნელი, ასევე მეორეხარისხოვანი ბარიერებიც.

აქტივობა № 4. შეფასება - 5 წთ

აქტივობის დაწყებამდე თითოეული ჯგუფი წარმოადგენს ერთ ექსპერტს, რომელიც პრეზენტაციის დასასრულს შეფასების რუბრიკების მეშვეობით შეაფასებს მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ აქტივობას.

საშინაო დავალება: კონტურულ რუკაზე დაიტანონ ჰავის ძირითადი ტიპები.

აი, ეს არის „ჩვეულებრივი გაკვეთილი“, სადაც დაზეპირებულ ტექსტს არავინ „მოჰყვება“ და კითხვა-პასუხით არ შემოიფარგლება. პრეზენტაციის დროს მოსწავლეს უბდება ტექსტის თხრობა, მაგრამ არა სხვისი, არამედ საკუთარი ნააზრევის, მოცემული მასალის ანალიზის შედეგად შედგენილი ტექსტისა.

ამ გაკვეთილის დაგეგმვის დროს ჩემი მიზანი იყო, დამენახებინა კოლეგებისთვის, როგორ შეიძლება მწირი რესურსის (სახელმძღვანელო) პირობებში მაღალი სააზროვნო უნარების (ანალიზი, შეფასება) განვითარება, იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომლებიც მთელი ცხოვრება გაჰყვება ადამიანს.

გეოგრაფიულ საშუალებებზე (რუკები, ცხრილები) მუშაობის შეფასების რუბრიკა

1-2	3-4	5-6	7-8	9-10
<p>ვერ აანალიზებს რუკების, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამებისა და სქემების საშუალებით წარმოდგენილ გეოგრაფიულ ინფორმაციას.</p>	<p>ცდილობს გააანალიზოს რუკების, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამებისა და სქემების საშუალებით წარმოდგენილი გეოგრაფიული ინფორმაცია, მაგრამ ზედაპირულია, რეალიზება არასწორია.</p>	<p>აანალიზებს რუკების, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამებისა და სქემების საშუალებით წარმოდგენილ გეოგრაფიულ ინფორმაციას, მაგრამ რეალიზება ნაწილობრივ არასწორია.</p>	<p>აანალიზებს რუკების, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამებისა და სქემების საშუალებით წარმოდგენილ გეოგრაფიულ ინფორმაციას, მაგრამ აკლია სიზუსტე.</p>	<p>აანალიზებს რუკების, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამებისა და სქემების საშუალებით წარმოდგენილ გეოგრაფიულ ინფორმაციას.</p>
<p>საკვლევი მიზნის გათვალისწინებით ვერ მოიძიებს და საჭიროებისამებრ ვერ იყენებს შესაბამის თემატურ რუკებს.</p>	<p>საკვლევი მიზნის გათვალისწინებით ცდილობს მოიძიოს და საჭიროებისამებრ გამოიყენოს შესაბამისი თემატური რუკები, მაგრამ ზედაპირულია, რეალიზება არასწორია.</p>	<p>საკვლევი მიზნის გათვალისწინებით მოიძიებს და საჭიროებისამებრ იყენებს შესაბამის თემატურ რუკებს, მაგრამ რეალიზება ნაწილობრივ არასწორია</p>	<p>საკვლევი მიზნის გათვალისწინებით მოიძიებს და საჭიროებისამებრ იყენებს შესაბამის თემატურ რუკებს, მაგრამ არცთუ ადეკვატურად; არგუმენტების გარეშე განმარტავს კანონზომიერებას.</p>	<p>საკვლევი მიზნის გათვალისწინებით მოიძიებს და საჭიროებისამებრ იყენებს შესაბამის თემატურ რუკებს.</p>
<p>ერთი და იმავე ადგილის სხვადასხვა თემატური რუკის შეჯერებით ვერ ახდენს კომპლექსურ ანალიზს.</p>	<p>ერთი და იმავე ადგილის სხვადასხვა თემატური რუკის შეჯერებით ცდილობს დააკავშიროს და ჩაატაროს კომპლექსური ანალიზი, მაგრამ ზედაპირულია,</p>	<p>ერთი და იმავე ადგილის სხვადასხვა თემატური რუკის შეჯერებით ატარებს კომპლექსურ ანალიზს, მაგრამ რეალიზება ნაწილობრივ არასწორია.</p>	<p>ერთი და იმავე ადგილის სხვადასხვა თემატური რუკის შეჯერებით ახდენს კომპლექსურ ანალიზს, მაგრამ ვერ იყენებს მათ ადეკვატურად, არგუმენტების გარეშე განმარტავს</p>	<p>ერთი და იმავე ადგილის სხვადასხვა თემატური რუკის შეჯერებით ატარებს კომპლექსურ ანალიზს.</p>

	რეალიზება არასწორია.		ტავს კანონზომიერებას.	
--	-------------------------	--	--------------------------	--

მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენის შეფასების რუბრიკა

1-2	3-4	5-6	7-8	9-10
<p>ვერ ადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირებს ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს შორის და ვერ მსჯელობს მათ გავრცელებაზე. ამ მაჩვენებლების მიხედვით ადარებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს.</p>	<p>ცდილობს დაადგინოს მიზეზშედეგობრივი კავშირები ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს შორის და იმსჯელოს მათ გავრცელებაზე. ამ მაჩვენებლების მიხედვით ადარებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, მაგრამ მსჯელობა ზედაპირულია, რეალიზება არასწორი.</p>	<p>ადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირებს ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს შორის და მსჯელობს მათ გავრცელებაზე. ამ მაჩვენებლების მიხედვით ადარებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, მაგრამ რეალიზება ნაწილობრივ არასწორია.</p>	<p>ადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირებს ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს შორის და მსჯელობს მათ გავრცელებაზე. ამ მაჩვენებლების მიხედვით ადარებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, მაგრამ ვერ იყენებს მონაცემებს ადეკვატურად, არგუმენტების გარეშე განმარტავს კანონზომიერებას.</p>	<p>ადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირებს ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს შორის და მსჯელობს მათ გავრცელებაზე. ამ მაჩვენებლების მიხედვით ადარებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს;</p>